ა(ა)იპ ხულო თაგოს ბაგირგზა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით კიდური საწევი ბაგირის შეცვლა ახლით

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 121 მუხლის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

2012 წელი

დაბა ხულო

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

3. სატენდერო წინადადება

4. ფასების ცხრილი

1. ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში –სისტემა) პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად. იხ. ვებ. გვერდი **http://procurement.gov.ge**

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. ბაგირის მახასიათებელი და წინააღტვირთვის მასა

ბაგირი	ბაგირის კონსტრუქცია და სახ. სტანდარტი, სერთიფიკატი	ბაგირის დიამეტრი, მმ.	ბაგირის საანგარიშო გრძივი მეტრის წონა კგ. არანაკლებ	მარკირებული ჯვუფი მპა (კგ, ძ/მმ არანაკლებ	მთლიანად ბაგირში გამგლეჯი ძალა კნ არანაკლებ	ბაგირის უდუდესი დაჭიმულობა, კნ.	სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტი არანაკლებ	წინა აღტვირთვის მასა, ტ.
საწევი ბაგირი	**ГЛ-В-Л-Н**	**19.5**	**1.37**	**1764(180)**	**194.3**	**4300**	**4.5**	**8.4**

2.1.2. შესყიდვის ობიექტის ტენიკური პარამეტრები:

ა(ა)იპ ხულო თაგოს კიდული სამგზავრო – სატვირთო საბაგირო გზის საერთო ჰორიზონტალური სიგრძეა 1713 (ერთიათას შვიდას ცამმეტი) მეტრი

პირველი სადგური (ქვედა) მდებარეობს დაბა ხულოში მემედ აბაშიძის ქ. #29–ში ზღვის დონიდან 800 მეტრზე, ხოლო მეორე სადგური (ზედა) მდებარეობს სოფელ თაგოში ზღვის დონიდან 1017 მეტრზე. პირველ და მეორე სადგურებს შორის სიმაღლეთა სხვაობა 217 (ორასჩვიდმეტი) მეტრია. ბაგირის დიამეტრია 19,5 მმ.

2.1.3. საწევი ბაგირის საერთო სიგრძე არის 3 600 (სამი ათას ექვსასი) მეტრს.

2.2. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილებისა და ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ

ა) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2009, 2010, 2011) შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საწევი ბაგირის მონტაჟი) სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 50000 ლარის ოდენობით;

ბ) ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს **დანართი№1** შესაბამისად;

დ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ასლები, სამუშაოს შესრულების, მიღება-ჩაბარების აქტების ასლები,).

ე) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის შესაბამისი ტექნიკური საშუალებები

ვ) ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს **დანართი№2** შესაბამისად;

2.3. ფასების ცხრილი:

ა) ფასების ცხრილი წარმოდგენილ უნდა იქნეს **დანართი №3** შესაბამისად;

ბ) ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;

გ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ–სგადამხდელი, საქართველოს კანონმდებ-ლობის შესაბამისად, მისი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-სგარეშე ((პრეტენდენტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველ-ზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);

2.4. ტენდერში გამარჯვებული პასუხს აგებს სამუშაოების წარმოების დროს უსაფრთხოების ტექნიკის დაცვაზე.

2.5. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს ძველი ბაგირის დასაწყობება და ჩაბარება ა(ა)იპ ხულო თაგოს ბაგირგზაზე.

2.6 ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

2.6.1 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

ა) გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% პროცენტის ოდენობით, **დანართი №4**–ის მიხედვით;

ბ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას.

2.6.2 ანგარიშსწორების პირობა:

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არა უმეტეს 30%-სა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას;

ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

2.6.3 . შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

2.6.3.1 შესრულებული სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ

2.6.3.3 სამუშაოს მიღებას აწარმოებს ა(ა)იპ „ხულოს ბაგირგზის“ მიერ შექმნილი შესაბამისი უფლებამოსილი კომისია.

2.6.3.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია შესრულებული სამუშაოს საბოლოო მიღებისათვის ექსპერტიზა ჩაატაროს ბაგირ საცდელ ლაბორატორიაში.

2.6.3.5 ობიექტი საბოლოოდ მიღებულად ჩაითვლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ს.ს.დ. ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის და ბაგირ საცდელ ლაბორატორიის დადებითი დასკვნების საფუძველზე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.6.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 % პროცენტის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკის-რება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

2.6.5 მიწოდების ვადა:

ა) სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 30 აგვისტომდე.

2.6.6. გარანტია-დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი:

ა) საგარანტიო პერიოდი შეადგენს 5 წელი სამუშაოების დასრულებიდან.

2.7 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის 2.4. პუნქტისა განსაზღვრული მოთხოვნებისა.

2.8 პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ტელ.: ; 🖷 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

2.9 პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შემდეგი თანმიმდევრობით:

- ფასების ცხრილი; დანართი #3
- ტექნიკური პირობები;
- ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ: დანართი #1
- ინფორმაცია პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ; დანართი#2
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- სატენდერო წინადადება, რეკვიზიტები;

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. დაბა ხულო მემედ აბაშიძის ქ. №29. საკონტაქტო პირი ა(ა)იპ ხულო თაგო ბაგირგზი სატენდერო კომისიის აპარატის წევრვრი ციალა აბულაძე 43, მობ: 577 15 63 90

დანართი №1

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

N	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველისდასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	გაწეული სამუშაოებისღირებულება
1				
2				
...				
ჯამი (2009 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი (2010 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი (2011 წელი)				
სულ ჯამი				

პრეტენდენტის ხელმოწერა _____**ბ.ა.**

დანართი №2

მონაცემები პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ

N	დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრების ფორმა
1					
2					
3					
4					
5					
...					

პრეტენდენტის ხელმოწერა _____**ბ.ა.**

დანართი №3

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

სატენდერო წინადადების ფასი _____

#	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული /სიგრძე/	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
	კიდური საწევი ბაგირის შეცვლა	3600		

დანართი №4

სატენდერო წინადადება

თარიღი:_____

ვის: _____

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: _____(პრეტენდენტის დასახელება და მისამართი) შევისწავლეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია, თანახმა ვართ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ _____

(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

მიწოდება და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად: : _____

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ საქონლის მიწოდება _____ დღის განმავლობაში და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ "ხელშეკრულება") ძალაში შესვლიდან _____დღეში (სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად აქ შეიძლება ჩაიწეროს საქონლის მიწოდების გრაფიკი ან დაწყება-დასრულების კონკრეტული თარიღი).

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონსა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ" დებულებას და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები (გვერდების რაოდენობის მითითებით):*

შენიშვნა: მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული.